



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კრანაშვილი გაქარია (გაქრო) იოსების ძ



კ რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი.
სერგო გაქარიაძე.
1958

კრანაშვილი გაქარია (გაქრო) იოსების ძე (17. XII.1918, სიღნაღი, - 31. VIII. 1999, თბილისი), მოქანდაკე. საქართველო. მხატვარი (1980). 1937-42 სწავლობდა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკ-ტზე. სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობდა 1949-იდან. ძირითადი ნამუშევრები „ვერიკო ანჯაფარიძე“ (1951); „მშენებელი ქალი“ (1959); „ევროპის ჩემპიონი ელენე გოკიელი“ (1960); „სანდრო შანშიაშვილი“ (1961, ბიუსტი); „ავლიბ ზურაბაშვილი“ (1960); „სიმონ ყაუხჩიშვილი“ (1970, ბიუსტი, მარმარილო); მ. გორკის ძეგლი ფასანაურში (1981, ბრინჯაო); „გარდაქმნა“, „თავისუფლება“, „თეთრი ზოლი“, „სამყარო“, „ბედნიერი“, „მზისაკენ“ (1990-98; ყველა

ნამუშევარი შესრულებულია ხეზე) და სხვ. 1950-იდან პედაგოგად მუშაობდა პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში (ამჟამად მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნ. სასახლე). იყო საქართველო. პედაგოგი (1970). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997).
